

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

21.12.2017 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №42

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლების გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

N	მესაკუთრე	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვ.მ	შენობა-ნაგებობის ფართი კვ.მ	საიდენტიფიკაციო ნომერი
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი ზუგდიდი“-ს 100% წილი	ქ.ზუგდიდი, მცხეთის ქ.N 17			220370738

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების პრივატიზების გეგმა

N	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	ელექტრონული აუქციონის ფორმა	ელექტრონული აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	შპს „საფეხბურთო კლუბი ზუგდიდი“-ს (ს/ნ 220370738) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წილი კაპიტალში 100%	ქ.ზუგდიდი, მცხეთის ქ. N 17	60 000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.